შაბათი, 1918 წ. მაისის 18 № 94

წლიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. მაისის 18 № 94

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსასყიდლოდ გამოგზავნილი მასალა [illegible]. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღეებისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ გვერდიდან ბოლოს წინ წერილები [illegible] თითო და [illegible]—18 მ. (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მცხოვრებთ განცხადებათ ფასი ორჯერ მეტია. საზეიმო(?) განცხადება თითოეულ ნომერ: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## საგულისხმიერო ცნობები

გუმბრი ოსმალებმა აიღეს.—ნ. ჟორდანია ბათომს გაემგზავრა.—ხონის რაიონში მფრინავ რაზმმა ბოლშევიკები დაამარცხა.

კვირას 6 (19) მაისს გორის საკრებულო ტაძარში გარდაცვლილ იქმნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალების მეორმოცე დღის თავზედ

**ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ამირეჯიბის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: დავით და გიორგი ნიკოლოზის ძენი და რძალი ნინო ივანეს ასული ამირეჯიბნი შვილებით, ქალიშვილები: ანნა ნიკოლოზის ასული ყიფიანისა და ელენე ნიკოლოზის ასული დიდებულიძისა თავიანთი ქმრებით და შვილებით.

წირვის დასაწყისი დილის 10 ს. პანაშვიდისა ნაშუადღევის 1 საათზედ. 1—1

კვირას, 19 მაის, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის, დილით ხდება(?) იქნება წირვა და პანაშვიდი [illegible] კლასის მოწაფის

**ანნა (ნიურა) სოლომონის ასულ მაჩაბლის**

სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი 1 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მშობლები, დილ(?) და დები განსვენებულისა.

1—1819—1

## დამოუკიდებელი საქართველო

საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ცხოვრება ახალს ხანაში გადადის. ეტაპები ამ განვითარებისა ძნელი, სახიფათო და მტანჯავი იყვნენ. უნდა აღვნიშნოთ სამი მთავარი ხანა ამ განვითარებისა. პირველი, როდესაც საქართველო მთელ რუსეთთან ერთად ერთ რევოლუციონურ ფრონტს შეადგენდა. მაგრამ რუსეთის ერთიანი რევოლუციონური ფრონტი დაიშალა და დამოუკიდებელი ამიერკავკასია ფაქტად იქცა. ეს არის მეორე ხანა, რომლის დროსაც საქართველო ამიერკავკასიასთან ერთად ერთს რესპუბლიკას წარმოადგენდა. წარმოშობა და განვითარება ამიერკავკასიის რესპუბლიკისა საინტერესო ფურცელია ისტორიისა უფლებრივის და სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით. უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს რევოლუციონერისა და სოციალისტისთვის, რადგანაც ცხოვრებ აქ განიცადეს მათ მთელი რყევა და იქვე თავიანთი რწმენისა და განუხორციელობლობა მისი, რაც განუხორციელებელია, მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკა დღე ნაკლული გამოდგა, და გარეშე ძალის ზედგავლენით იგი იშლება ისე, რო. როგორც აშენდა ისე, რომ არ გამოუწვევია არავითარი შინაური აღფრთოვანება. რასაკვირველია, ღრმა შინაური მიზეზებისა გარდა, რომლებიც არსებობენ არ წარმოადგენდნენ მტკიცე შეთვისების კავკასიის ერების გაერთიანებისას, იყო გარეშე მიზეზიც, რომელმაც ჩვენს არეულ დროში გადამწყვეტი ფაქტორის როლი მიითვისა. და ეს გარეშე მიზეზი ოსმალეთია. არა ნაკლებ როლს თამაშობს გერმანიაც, რომლის მიზნები და მისწრაფებანი შემდეგში უფრო ნათელი იქნება კავკასიისთვის. მაგრამ ჯერჯერობით ოსმალეთი უფრო აქტიურია კავკასიის საკითხებში და თუ დღეს ამიერკავკასიის რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო, კრიზისს განიცდის, ამის მთავარი მიზეზი ოსმალეთია, რომელმაც თავის აგრესიით თითქმის მთელი სამხრეთ ამიერკავკასია თავის ხიშტებზე წამოასკუპა და დღეს არა—ხვალ ოკუპაციას უზავს სომხურ პროვინციებს. სომხეთის ბედით გადმოგდება სასწორის თეფშიდან ფუშავს ამიერკავკასიის რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულს და საქართველო, როგორც ერთი წევრი ამ რესპუბლიკისა ახალს და იმ მესამე ხანაში გადადის, რომელზედაც ზევით ვამბობდით. საქართველოსთვის დგება ის ხანა, როდესაც, დაკარგა რა თავისი რევოლუციონური ამხანაგები ჯერ რუსეთი, მერე ამიერ-კავკასია, მარტომ უნდა გადასწყვიტოს თავისი ბედი. არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ ხნის განმავლობაში არა ნაკლებ გახუნდა თვით რევოლუციაც, სოციალისტური ლოზუნგებითა და საერთაშორისო იდეებით და დღეს, ჩვენს გარშემო ატმოსფერაში უფრო მეტია იმპერიალიზმი და ყოველნაირი აგრესია ვიდრე იდეები ძმობისა და ერთობისა. მაგრამ საქართველო უკვე მოსული ამ დღეებამდე, უკან აღარ უნდა დაბრუნდეს. სრული და დაუყონებელი დამოუკიდებლობა საქართველოსი მაინც ის ერთად ერთი გზაა ხსნისა, რომელიც გამოიყვანს მას უკიდურეს მდგომარეობიდან.

ალექსანდროპოლის აღება და ჯულფის რკინის გზის ხელში ჩაგდება ოსმალების მიერ, როგორც უკვე აწერდით უწინ, ისეთ შესაძლებლობას ჰქმნიან, როდესაც საქართველო მარტო რჩება. მთელი სიმძიმე ამ ფაქტისა, ცხადია აწვება სომხებს, მაგრამ საქართველო დაზარალდება გაცილებით მეტად, თუ ახლავე არ შექმნის თავის სახელმწიფოებრივ საზღვრებს, რომლებიც დემარკაციულ ხაზის როლს ითამაშებენ საქართველოსა და იმ ამბებს შორის, რომელიც ოსმალეთსა და სომხებ შორის მოხდება. და რომ სომხები ჟამრად არ დასთმობენ თავის სასიცოცხლო(?) ინტერესებს, ამაში ეჭვი არ უნდა იყოს. ამიერ კავკასიის რესპუბლიკას უკვე ჰქონდა ომი ოსმალეთთან. ამ ომში საქართველომ წაგო. თუ სომეხ-ოსმალთა ომი აუცილებელია, საქართველომ რომ თავისი დამოუკიდებლობა არ დაიხსნას—კიდევ წააგებს. მიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის ომში უნდა ჩავარდეს. საქართველოს სრული გამოყოფა და დამოუკიდებლობა კი ამ ახალს განსაცდელს აგვაცდენს. ასეთია პოლიტიკური მდგომარეობა, ასეთია ლოღიკა იმ მდგომარეობისა, რომელიც ჩვენს წინ დგას. პოლიტიკურმა აზრმა ახლა უნდა იჩინოს თავი ჩვენში.

## ბოლშევიკურ რუსეთის ახირებული პრეტენზიები

ბოლშევიკური რუსეთი ოფიციალად გამოეხმაურა დამოუკიდებელ ამიერკავკასიას. მკითხველი, ალბად, იფიქრებს, რომ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ცნო კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი აქტი: ბოლშევიკებმა სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში გდების შემდეგ საგანგებო დეკრეტით გამოაცხადეს, რომ მართვა-გამგებლობაში იგინი იხელმძღვანელებენ განსაკუთრებით ერთა თვით გამორკვევის პრინციპით და პრაქტიკულად წინააღმდეგობას არ გაუწევენ ამა თუ იმ ერის სრულს სეპარაციასაც-კი, მაგრამ... სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—, და სწორედ საქმით, მოქმედებით რუსის ბოლშევიზმა ცხად ჰყო ნამდვილი სულის კვეთება! უკიდურესმა სოციალისტ-კომუნისტებმა დაამტკიცეს, რომ იგინი ისეთივე მტრები არიან დამონავებულ ერების, როგორც დესპოტიური რუსეთი. რითი განირჩევა ლენინისა და ბრონშტეინ-ტროცკის მთავრობა ოსმალეთის, ან თუნდ თვით გერმანეთის იმპერიალისტებისაგან? „სოციალისტურ-ფედერატიული“ რუსეთის რესპუბლიკა აწარმოებს ნამდვილ დაპყრობით პოლიტიკას და აზომს ყოველფერს, რაც ეწინააღმდეგება გარყვნილ სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ „კურსს“.

გერმანეთის „ჯავშნიან მუშტმა“ მიჰკლიტა რუსეთი და მოამწყვდია წმინდა რუსულ ძველი მოსკოვის სამეფოს საზღვრებში. ბოლშევიკები თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიჰხვდნენ, რა სამარცხვინო და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენეს ოდესღაც მძლავრი და მრისხანე იმპერია! დღეს ჰფიქრობენ „კომპენსაცია“ გამოუძებნონ დამამცირებულ „პროლეტარულ და გლეხურ“ სახელმწიფოს და რადგანაც დასავლეთით მოღერებულია იგივე „ჯავშნიანი მუშტი“ ძლევამოსილ შეერთებული იმპერიისა, ხოლო აღმოსავლეთით „ტაიფუნის“ ქროლვა ცხაცხში აგდებს შინ „გამარჯვებულ“ ბოლშევიკურ მხედრობას, ამიტომ დაუმალავ იმპერიალისტურ ტენდენციას კომუნისტური რუსეთი აწარმოებს იქითკენ, სადაც ნაკლები ფიზიკური ძალა ევულება. ჯერ ხნობით რუსის ბოლშევიზმი კმაყოფილდება იმით, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ამხედრებს კავკასიაში მყოფ სხვა და სხვა ნაძირალ ელემენტს და სოციალისტურ ქურქში გამოხვეულ წმინდა წყლის შავრაზმელებს. „ზნამია ტრუდა“, „ნაროდნაია სვობოდა“ და სხვა ამგვარი ჰამყარი ფურცლები ვრცელ ინფორმაციას აწვდიან ბოლშევიკურ რუსეთს კავკასიის ერთა განწყობილების შესახებ, სახელდობრ აცხადებენ იმასაც, რომ თითქმის ყველა კავკასიის დაბა ქალაქებში გამოაქვთ რეზოლუციები რუსეთისაგან გამოყოფის წინააღმდეგ. ამ ინფორმაციით უსარგებლია რუსის სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო საქმეთა რწმუნებულს ჩიჩერინს და ბერლინში გაუგზავნია ვრცელი მოხსენება ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობაზე. პირველ ყოვლისა, რუსეთი მოითხოვს, რომ ბათუმის კონფერენციაზე დაშვებულ იქმნენ რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლები. ბოლშევიკური მინისტრი ჰგრძნობს, უეჭველია, რომ ამგვარი პრეტენზიული მოთხოვნილება მოკლებულია საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით და საჩუთად მოჰყავს ის მოსაზრება, რომ „ამიერკავკასიის მრავალ ადგილას სრულიად უარსა ჰყოფენ ეგრედ წოდებულ ამიერკავკასიის მთავრობის ძალა უფლებას, მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს ფართე ხალხის მასსა..., რადგანაც მთავრობას არავითარი უფლება და რწმუნება არ ჰქონდა რუსეთიდან გამოყოფის საკითხის გადასაწყვეტად...“ ჩიჩერინი აცყობინებს გერმანელთ, რომ კავკასიის ხალხი ერთხმად მოითხოვს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლობას ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში, მაგრამ მასთანავე სახალხო კომისარიატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბათუმში მისვლით რუსეთის რესპუბლიკა სრულებით არა სცნობს ამიერკავკასიის მთავრობას და ბოლოს ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ რუსეთი არ მიიღებს ხელშეკრულებას მის წარმომადგენლების დაუსწრებლად დადებულს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ დამოუკიდებელ ამიერკავკასიის ყველაზე დაუძინებელი მტრები არიან რუსის ბოლშევიკები, რომელთაც ამიერკავკასია გაყიდეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენ უბედურება გვქონდა რუსეთის ქვეშევრდომებად, ან, თუ გნებავთ, „მოქალაქეებად“ ვწოდებულიყავით.

რათ დასჭირდა ბოლშევიკურ რუსეთის ბათუმის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება? იქნებ ჰგრძნობს ბრესტ-ლიტოვსკში ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულობას და უნდა მისი გამოკეთება?! არა გვგონია, ჩვენს სახელმწიფოში ახლა მაინც მოიპოვებოდეს ისეთი გულუბრყვილო მეოცნებე, რომელსაც სჯეროდა რუსის ბოლშევიკების ჩვენდამი კეთილი განწყობილება! ის კი აშკარაა, რომ უკანასკნელი აქტით ბოლშევიკური რუსეთი ოფიციალად მოწინააღმდეგედ და მტრად გვეძლევიან! თუ აქამომდე ჩვენს წინ იდგა რუსეთი აჯანყებდა გაულაგმავ ჯარისკაცებს და ყოველ ნაძირალებს, თუ ბოლშევიკების ლოცვა-კურთხევით დამოუკიდებელ ამიერკავკასიას ბრძოლას უცხადებდნენ მეჭრთამე ჩინოვნიკები და სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები,—დღეს რუსეთის ცენტრალური სოციალისტური მმართველობა ქვეყანას ამცნობს, რომ იგი ვერ შეურიგდება ამიერ-კავკასიის ხალხთა კატეგორიულ ნებისყოფას და იმოქმედებს ახალი სახელმწიფოს დასამარცხებლად. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამიერიდგან რუსეთი სამარ განწყობილებაში ჩვენთან და, თუ ბედმა გაულიმა, სოციალისტურ წითელ ნადირობას კიდევაც გამოაღაშქრებს ჩვენზე.

ამიერ-კავკასია დიდ საფრთხის წინაშე დგას: რუსეთის საჩვეო იმპერიალისტური მადა უსაზღვროდება! „საერთაშორისო ჟანდარმი“ თავს იწევს და იკრებს ღონეს „მოდალატეების“ დასასჯელად. მაგრამ ჩიჩერინის მიერ შეს განმეორებითი მოქლინება საერთაშორისო ვერ ჩააგდებს ამიერ-კავკასიის ხალხს! ნათქვამია: „не такъ страшенъ чортъ, какъ его малюютъ“... მშვიდათ და დინჯათ მივიღებთ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გადმოსროლილ ხელთათმანს მიუხედავად მისი სიბინძურისა...

უმთავრესად უნდა ვიზრუნოთ ბათუმის მოლაპარაკების კეთილად დაბოლოვებისა და ცენტრალ სახელმწიფოების მეთაურთან მჭიდრო კავშირის შექმნისათვის.

ჩიჩერინის დიპლომატიურ ყურინს ისევ გერმანელი ვაზმისტრის ქუსლი ჩაჩუმებს.

რ. ინგილო.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

დილით 16 მაისს ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით სეიმმა მიიღო: ა) სამხედრო კომისიის მოხსენება იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიის ისტორიულ კომისიის დებულებას. ისტორიული კომისია შედგა 1914 წ. და შემდეგ წლების ომის აღსაწერად. ბ) საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მოხსენება ქ. თბილისის დროებით დამცველ შტაბის შტატის დამტკიცების და მისთვის ხარჯების გაღების კანონ-პროექტით. გ) იმავე კომისიის მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის კანცელარიის დროებით შტატის დამტკიცებისთვის კვლავ ფულის გადადება ამიერ-კავკასიის სეიმის შენობის და სტამბის ხარჯებისთვის. დ) საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მოხსენება 497940 მ. გადადებისთვის. ამავე სხდომაზე სამხედრო მინისტრს შეეკითხნენ შეპარცხენა ესერები თუმანოვი, თარხანოვი და ბეროზოვი, თუ რათ იქმნა დაშლილი ინტერნაციონალი სოციალისტური მატარეა. შეკითხვამ ხანგრძლივ კამათი გამოიწვია. კამათის შემდეგ ამავე მთავრობამ 7 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც არსენიძემ გამოაქვეყნა მენშევიკთა ფრაქციის სახელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისმინა რა განმარტება სამხედრო მინისტრისგან სეიმმა სამართლიანად ჰსცნო ინტერნაციონალ ბატარეის დაშლა და გადავიდა მორიგ საკითხებზე. დასასრულ ნ. ჩხეიძემ სეიმის წევრების ყურადღება მიაქცია სეიმის კომისიების სუსტ მუშაობაზე, რის გამოც შეუძლებელი ხდება საკანონმდებლო ყრილობის სხდომათა რეგულიარულად მოწვევა.

## მთავრობის დადგენილება ამიერ-კავკ. დამოუკიდებლობის გამო

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებასთან ერთად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა: ა) ბუნებრივად ჩაითვალოს რუსეთის ქვეშევრდომთა გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ლაშქრიდან გამორიცხვის გამო. ბ) ამიერ-კავკასიის მთავრობას არ ძალუძს, რომ არ მიიღოს თავის ჯარში ის საჭირო რუსის ქვეშევრდომები, რომელნიც თავის ნებით ჩაეწერებიან. გ) ამიერ-კავკასიის ლაშქრის სამსახურში დარჩენილი რუსთა-ქვეშევრდომი ოფიცრები მოვალენი არ არიან ქვეშევრდომობა გამოიცვალონ. დ) თუ ამიერ-კავკასიის ლაშქარში დარჩენილი რუსის ქვეშევრდომები, შეინახავენ თავის ქვეშევრდომობას, მაშინ მათზე იქნება გავრცელებული ყველა ის უფლებანი, რომლითაც ისარგებლებენ ამიერ-კავკასიელები სამსახურის დროს, ამასთანავე იმ შეზღუდვითაც, რომელიც ნაჩვენები იქნება კონსტიტუციაში. ე) შესაძლო გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ხელწერილი უნდა ჩამოერთვას, ვინც ისურვებს ამიერ-კავკასიის ლაშქარში დარჩენას და სამსახურს და რესპუბლიკის კანონების დამორჩილებას. ვ) სანამ სამხედრო კომისია განიხილავდეს, გადაუწყვეტლად დარჩეს სამსახურიდან გასვლის რაპორტების პასუხი. ზ) უცხოთა ქვეშევრდომს არ მიეცეს თანამდებობანი. ლაშქრის ხელმძღვანელისა, სამხედრო მინისტრისა, მისი ამხანაგისა, შტაბის უფროსისა, გენერალ-კვარტირმეისტერისა, კორპუსის კომანდირებისა, მორიგ გენერლისა, სასურსათო საქმეთა უფროსისა. თ) მიენდოს სამხედრო მინისტრს განხილვა უცხო ქვეშევრდომთა დაშლა თანამდებობიდან გადაყენებისა. ი) მიენდოს სამხედრო მინისტრს რათა თავისუფალ ადგილებში ჩააყენოს თავის ძალა, იხელმძღვანელოს რა მთავრობის დადგენილებით, რომელიც ჩამოწერილია 10 მაისის ჟურნალის 2 პ—ში (ა, ბ, გ, დ).

## ომი

### დასავლეთის ფრონტი

**გერმანეთის ცნობა**

**ბერლინი.** მაისის 15. სამხედრო იუწყება. დასავლეთის ფრონტი. კემელის ჩრდილოეთით ჩვენ იერიშები მივიტანეთ მტერზე. მეგერავთა მიერ დატყვევებული 120 კაცი. ჩვენი იერიში საკმაოდ ძლიერ დაუჯდათ ფრანგებს. კემელის მიდამოებში საარტილერიო ცეცხლი ვითარდება. დილა ადრიან აქ მოგერიებულ იქმნენ ფრანგები. ლისისა და ლაბასეს არხის შუა სვარმის მახლობლად მტრის მოქმედებამ მთელ ღამის განმავლობაში მკვირცხლი ხასიათი მიიღო. ანკრისა და სომას შუა, იერიშით ბრე-კორბელეს შუა შევიჭრით ინგლისელთა პოზიციებზე და დავიჭირეთ კიდეც. ინგლისელებმა ორჯელ მიიტანეს კონტრიერიში, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ დიდის ზარალით. ვილერ-ბრეტანესთან, ლისისა და ჰოვის ორთავე ნაპირებზე, საარტილერიო ცეცხლი არა ერთხელ იღებდა ძლიერ სახეს. ჰეგრის დასავლეთ აპორზე მტერმა არა ერთხელ მიიტანა იერიში ვასტილის ხაზზე, მაგრამ აქაც დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნა. ზოგიერთ სექტორებში ორთავე მხრით მხოლოდ ზვერვაა. ჩვენმა ფრინავებმა გუშინდელ დღეს 5 დაბალი ჰაერის ბურთი ჩამოაგდეს. ძოლის აპორეზის ბევრს ადგილას მრავლობით ჰაერის ფლოტი დათაშობს და პოზიციების ზვერვაშია. ლუსა და დიუნკერკზე, აგრეთვე ნის გზის სადგურებზე და სამხედრო საწყობებზე მრავალი ყუმბარები ვყარეთ.

**ინგლისის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 16. მორლანკის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ჩვენზე იერიში მოიტანა და ერთ ალაგას ჩვენი პოზიციები დაიჭირა. ჩვენ კონტრიერიშით მტერს დაჭერილი პოზიცია დავაცლევინეთ.

**იტალიის ცნობა.**

**რომი.** მონტეკარნოსთან მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ დამარცხდა. ჩვენ 11 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**პალესტინის ფრონტი.**

მდ. იორდანის მარჯვენა მხარეზე მტრის მზვერავი რაზმები გავფანტეთ.

**მესოპოტამია.**

ტიგრის რაიონში მტრის ჯავშნოსანი ავტომობილები ჩვენმა არტილერიამ შეაჩერა. მფრინავ ხალფთლიანმა მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

## კავკასიის ფრონტი

### გუმბრის აღება

16 მაისი. 12 საათი. 5 წუთის რუქა დიუიმში. გუმბრიში შედიან ოსმალები, მოითხოვენ რა იარაღის, ციხეების და რკინის გზის მათ ხელში გადაცემას. ჩვენი ნაწილები იხევენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში 13 მაისს მაჰმადიანებმა შემოიტიეს ს. სარის და ხიზაბავრას შეიარაღებულ მცხოვრებლებს. მწუხრისას, მაჰმადიანებმა დაიჭირეს ს. ხერთვისისკენ და 50 დაჭრილი დაგვიტოვეს.

## რუსეთი

**მიხეილ ალექსანდრეს ძის ავადმყოფობა**

პერმში გადასახლებული ყოფილი დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ფსიქიური ავადმყოფი შეიქმნა. მას მოსვენებას არ აძლევს, რომ რომელიღაც ავტომობილი არა სდგას მის ჰოტელთან. იგი სამკურნალოში მოათავსეს. მასთან დეპეშით გაიწვიეს მისი მეუღლე.

**ილიოდორის გამოცხადება**

ვლადივოსტოკში დროებით შეიპყრეს ილიოდორი, რომელიც ალბად იაპონიაში მიემგზავრებოდა.

**კერენსკი**

კერენსკისთან მყოფ პირისაგან მოსულა წერილი, რომელშიაც მინისტრის მხლებელი იტყობინება: „ჩვენ ვტოვებთ სორენტოს დედაქალაქს. მიზეზი ისაა, რომ ბოლო ხანებში აქ გაჩნდნენ საეჭვო პირები. საით წავალთ, ჯერჯერობით გამოურკვეველია.

**ნ. მურავიოვის დაპატიმრება**

საგანგებო საგამოძიებლო კომისიის მიერ შეპყრობილია საბჭოთა ჯარების ხელმძღვანელი ნ. მურავიოვი. ის ჩასვეს ტაგანის ციხეში და ცალკე სენაკში იმყოფება.

**მემკვიდრეობის მოსპობა**

მოსკოვიდან იუწყებიან: გამოიცა დეკრეტი მემკვიდრეობის მოსპობის შესახებ. მიცვალებულის ქონება ხაზინაში გადავა.

**პეტროგრადის შრომის კომუნის გაუქმება**

გაზეთებში უკვე იყო ცნობა პეტროგრადის შრომის კომუნის გაუქმების შესახებ და პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოს შეცვლა საოლქო საბჭოთი. ახალ მთავრობის შემადგენლობაში არის ზინოვიევი; იუსტიციის პორტფელი გადაეცა კრესტინსკის, შრომის—ზალუცკის, ფინანსების—შეიმანს, სურსათის—ვოლკოვს, სამხედრო საქმეთა—პოზერნს. გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის და მიწად-მოქმედების პორტფელები მემარცხენე ესერების ხელში გადადის...

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და ბოლშევიკები

**ნოტა გრაფ მირბახს.**

**ბერლინი.** № 213. მაისის 15. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ იოფფეს. გრაფ მირბახს დღეს შემდეგი ნოტა გაუგზავნეთ: „გერმანეთის ელჩის, გრაფ მირბახის გუშინდელ წინადადების საპასუხოდ, რომ გერმანეთის მთავრობა კისრულობდა მიეღო თავის თავზე გადაეცა, ეგრედ წოდებულ, ამიერ-კავკასიის მთავრობისთვის, წერილობითი წინადადება შესახებ ჩვენ მოთხოვნილებათა და სურვილებისა ამ საკითხში, სახალხო კომისარიატი აღნიშნავს, რომ მის აზრით საჭიროა, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაში მონაწილეობდეს რუსეთა მთავრობის წარმომადგენელი. სახალხო კომისარიატი თავის მოვალეობად სთვლის აღნიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის ბევრს ადგილებში სრულიად უარჰყოფენ, ამიერ-კავკასიის მთავრობის ძალა-უფლებას. საერთოდ ამიერ-კავკასიაში მთავრობის უფლებიანობის წინააღმდეგ ილაშქრებენ ფართე მასები; თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში მცხოვრებლებს პროტესტები გამოაქვთ რუსეთიდან გამოყოფის წინააღმდეგ სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში, თბილისში, დუშეთში და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში, გამოაქვთ რეზოლუცია, რომლითაც სეიმის წინააღმდეგ ილაშქრებენ, არ სცნობენ მას უფლებიანად და რეფერენდუმს მოითხოვენ. რეზოლუციაში გარკვევით აღნიშნავენ, რომ სეიმის წევრებს ირჩევენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის, რევოლუციით მონაპოვარის განსამტკიცებლად და რომ ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის საკითხის გადასაწყვეტად. სომხური ქალაქები და სოფლები ხომ უფრო დაჟინებით მოითხოვენ რეფერენდუმს და მათ დელეგატების სეიმიდან გასვლას. ბაქომ სეიმის წევრები უზურპატორებად გამოაცხადა. ასეთივე აზრი გამოსთქვეს: ლენქორანმა, ალიათმა, დერბენტმა, პეტროვსკმა, ბაჟარბუტმა, ქიურდამირმა და საზოგადოდ, მთელმა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიამ, მანამდე ხსენებულ კუთხეების მცხოვრებნი დაჟინებით მოითხოვენ, რომ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმაც მონაწილეობა მიიღოს ბათომის საზავო კონფერენციაში. სახალხო კომისარიატი აღნიშნავს, რომ ამით რუსეთის მთავრობას აზრად არა აქვს სცნოს, ეგრედ წოდებული, ამიერ-კავკასიის მთავრობა. ამასთანავე კომისარიატი აღნიშნავს რომ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის დაუსწრებლივ იგი არ სცნობს არავითარ ხელშეკრულებას.

საგარეო საქმეთა კომისარიატი ო. ჩიჩერინი.

**ბოლშევიკები და კავკასიის მთიულები.**

**ბერლინი.** (ურიცხვო) რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენელ იოფფეს № 213. მაისის 15. დღეს გრაფ მირბახს გაუგზავნეთ შემდეგი ნოტა: გუშინ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გერმანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის, იმპერატორის ელჩის—გრაფ მირბახის მიერ გადმოცემულ იმ რადიო დეპეშის გამო, რომელიც გვამცნობდა, რომ ეგრედ წოდებულ კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობებმა ეს კავშირი გამოაცხადეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელიც გადაჭიმულია შავ ზღვიდან კასპიის ზღვამდე,—სახალხო კომისარიატს თავის მოვალეობად მიაჩნია აღნიშნოს, რომ შავი ზღვის პირის, ყუბანის, თერგის და დაღესტნის ერებმა უკვე გამოსთქვეს თავიანთი სურვილი, შესახებ იმისა, რომ ჰსურთ რუსეთის ფედერაციაში დარჩნენ. ხოლო იმ უზურპატორების წინააღმდეგ, ვინც ხალხის სახელით გამოდიან, რუსეთის საბჭოთა მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს.

გარეშე საქმეთა კომ. ჩიჩერინი.

## დონზე.

**როსტოვის ამბები.**

კავკავის გაზეთს „ნაროდნაია ვლასტ“-ს ჩრდილო-კავკასიის ჯარების შტაბის უფროს ავტონომოვისგან შემდეგი ცნობა მიუღია:

„გერმანელების და გაიდამაკების როსტოვში შემოსვლის დროს ზოგიერთი ჩვენი ნაწილები ისე შეშინდნენ, რომ დასტოვეს როსტოვი და ტიხორეცკაიასკენ წამოვიდნენ.

შეიტყო რა ეს ჩრდილო კავკასიის ჯარების შტაბმა, ტიხორეცკაიაში მდგარ მარქოფა ჯარიდან გაგზავნა ძლიერი რაზმები ჯავშნიან მატარებლებით.

ამან გავლენა მოახდინა იმ ნაწილებზე, რომლებიც შეშინებულნი იხევდნენ და მათ სასტიკი იერიში მიიტანეს მტრებზე.

## ჩრდილო კავკასიაში

**კორნილოვის ჯარები**

**ეკატერინოდარი.** მაისის 10. კორნილოვის ნაწილები გამოემგზავრნენ ყალმიყოთა ტრამალებში ნაწილების შესავსებად. გზაში იმ რაზმმა, რომელსაც ალექსეევი ხელმძღვანელობს უარი განაცხადა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ომის წარმოებაზე, რადგან დასავლეთიდან მათ ემუქრებიან გერმანელები და გაიდამაკები. საბჭოთა ჯარებთან შესათანხმებლად მათ დელეგაციაც გაგზავნეს. დელეგაციის ბედი ჯერ არ იციან.

**შავი ზღვის ფლოტი**

ჩრდილო-კავკასიის რევოლიუციური ჯარების შტაბმა გერმანელთაგან რესპუბლიკის დასაცავად მოლაპარაკება გამართა ნოვოროსიისკში მდგომ შავ ზღვის ფლოტთან. აქამდის შავ ზღვის ფლოტი გერმანელების წინააღმდეგ ვერ მოქმედობდა. ამბობენ, მოლაპარაკება სასურველად დამთავრდაო.

**რადკო-დიმიტრიევი**

ესენთუკიდან „ნაროდნაია ვლასტ“-ს ატყობინებენ: აქ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს რესპუბლიკისა და რევოლიუციის დაცვის შესახებ. მიტინგზე ილაპარაკა ცნობილმა გენერალმა რადკო დიმიტრიევმა (ბულგარებისგან განდგომილი) იგი მხურვალედ მოუწოდებდა რესპუბლიკის დასაცავად.

ხმებია ჩრდილო-კავკასიის ჯარების შტაბის წარმომადგენელნი სთხოვენ რადკო-დიმიტრიევს, რომ მან მხურვალე მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის დაცვაში.

**გენერალ რუზსკი**

ხმებია, რომ ჩრდილო-კავკასიის ჯართა შტაბმა მოლაპარაკება გამართა აგრეთვე გენერალ რუზსკთან. რესპუბლიკის დასაცავად განზრახული აქვთ, რომ მოუწოდონ აგრეთვე მთავარ შტაბის დამსახურებულ ოფიცრებს

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ მოსკოვში, სარატოვში, ხარკოვში, ცარიცინში, პეტროგრადში და საზოგადოდ ჩრდილო რუსეთში მყოფ ქართველთა მშობლების და ნათესავების საყურადღებოდ მოსკოვის ხაზების შიკრიკი აცხადებს, რომ იგი ამ ჟამად თბილისშია და რუსეთში დაბრუნდება სამშაბათს მაისის 21 ახალი სტილით (8 მაისს ძველ სტ.). კისრულობს წერილების წაღებას. წერილები უნდა შემოიტანონ გაზ. „საქართველო“-ს კანტორაში. სასახლის ქუჩა № 5.

◆ **სამინისტროს ხარჯები.** გზათა მიმოსვლის სამინისტრომ სთხოვა მთავრობას სახაზინოდ გადასდოს ფული სამინისტროს ხარჯების გასაძღოლად: სამინისტროსათვის საკუთრივ—4475 მ., მოსამსახურეთა ჯამაგირისთვის 34475 მან., ბინის ქირისთვის—3000 მან., ღღიური ჯილდოს გასაცემად—3000 მან. და 30000 მან. საჭირო ინვენტარის შესაძენად და ბინის მოსაწყობად.

◆ **ნოე ჟორდანია**, ჯაფარიძე, ხანხოისკი და ჰას მამედოვი ბათომში გაემგზავრნენ.

◆ **მფრინავი რაზმის შედგენა.** მთავრობამ სეიმში შეიტანა კანონპროექტი ალაზანის გაღმა რაიონში ანარქიასთან მებრძოლ დროებითი კომისიის და მასთან ცხენოსანთა მფრინავ რაზმის შედგენის შესახებ. ამ ზომის განსახორციელებლად 3 თვის განმავლობაში განზრახულია გადაიდოს 128,520 მან.

◆ **სროლა თბილისში.** 16 მაისს დაახლოვებით სადამოს 11 საათზე ბარიათინსკის ქუჩის კუთხეში არამიანცის სახლის წინ დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. მათთან მოვიდა მილიციელი და სთხოვა ხალხს დაშლილიყო. ამ დროს ბრბოდან ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა. მილიციელებმა ჰაერში სროლა ასტეხეს. ხალხი მალე დაიშალა და წესიერება იქმნა აღდგენილი.

◆ **ქუთაისში მოკლეს ცნობილი** ყაჩაღი მღვდლიძე, მისი ამხანაგი თომიაძე კი დააპატიმრეს.

◆ **ბოლშევიკების დამარცხება.** ქუთაისიდან გაგზავნილმა 200 კაცისაგან შემდგარმა მფრინავმა რაზმმა ხონის რაიონში იარაღი აჰყარა ყველა ბოლშევიკებს, რომელთაც წაართვეს 300 თოფი, ტყვიის მფრქვეველი და ყუმბარები.

◆ **ხონის ტერორისტების** კორპუსი. „ახლანდელი მძიმე მდგომარეობის გამო სომხური სარევოლიუციო დაშნაკცუთუნის თბილისის ტერორისტთა კორპუსი („აჰამეკიჩ მარმინ“) უბრძანებს: 1) წითელი გვარდიის ყველა ამხანაგებს, 2) ყველა იმათ, ვინც იარაღის მოწმობა მიიღო ს. ს. დაშნაკცუთუნისაგან, 3) თბილისში მცხოვრებთ და სხვა და სხვა და სხვა ადგილებიდან გადმოხვეწილებს და ეხლა თბილისისა და თბილისის მიდამოებში მყოფ ყველა დაშნაკელს, რომელთაც იარაღის ხმარების უნარი აქვთ,—მზად იყვნენ,—რა წამსაც საჭირო იქნება დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თავ-თავიანთ უბნის კომიტეტის ბიუროში. სომხური სარევოლიუციო დაშნაკცუთუნის სატერორო კორპუსი“. („ჰორიზონი“).

◆ **ტარიფი.** მთავრობამ სეიმში შეიტანა კანონპროექტი რკინის გზის ტარიფის დროებით გადიდების შესახებ. განზრახულია მომქმედი ტარიფი მგზავრებისათვის 200 პროცენტით გადიდდეს, ბაქო-საბუნჩა-სურახანის გზებზე კი—100 პროცენტით. სამგზავრო სისწრაფით გადაზიდულ ტვირთში გადახდება 800 პროც. გადიდებული ფასი. ჩვეულებრივი სისწრაფით გადაზიდულში კი—100 პროც. მხოლოდ კახეთის რკინის გზაზე ტარიფი მხოლოდ ნახევრად იქნება გადიდებული.

◆ **პარტიათა გარეშე მყოფ ქართველთა** საორგანიზაციო კრება დანიშნულია კვირას, 19 მაისს, 12 საათზე ქართულ კლუბში. მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს ყველამ, ვინც არსებულ პარტიებში არ ირიცხება.

◆ **ქართველ ხელოვანთა საღამო.** დღეს დანიშნულია ფრიად შინაარსიანი და მეტის-მეტად საყურადღებო საღამო. ახალგაზრდა მხატვრებს აზრად აქვთ გააცნონ ჩვენს საზოგადოებას, როგორც თავიანთ მხატვრული დარგი, აგრეთვე მუსიკალური მისწრაფებაც. მეტად ორიგინალურია „სამი სათუთური“, „მქრქალი ფერი“, „ფახისფაზა“, „კინტო“. ამის გარდა ფართოდ გადიშლება ჩვენს საზოგადოების წინაშე მხატვრობა, შარჟები.

◆ **სპარსულ სარევოლიუციო პარტიის** „მუტარაკიუნ-ირონიონ“ ცენტრალ კომიტეტმა და პარტიის ყრილობამ დაადგინა შესცვალოს პარტიის მე-53-ე მუხლი (საადგილმამულო) ს.-რ. საადგილმამულო პროგრამის მიღების აზრით. ამ დადგენილების დასამტკიცებლად შეკრებილ იქმნება კომიტეტების საოლქო ყრილობა.

◆ **გადმოხვეწილთა დასახმარებლად** ფოთში 4 სანიტარული მატარებელი გაიგზავნა.

### სოფ. ძიმითი

◆ ოზურგეთის მაზრაში სოფ. ძიმითში, სადაც 5000 ლტოლვილია, გაჩნდა სხვა და სხვა ეპიდემიები: სიფილისი, ყვავილი და სხვა. მიუხედავად იმისა რომ ამ სოფელში დანიშნულია ექიმი 100 თუმნის ჯამაგირით და ფერშალი 60 თუმნის ჯამაგირით, არც ერთი და არც მეორე არსად არ ჩანს

## ამიერ-კავკასიის მთავრობაში

◆ 15 მაისის მთავრობის სხდომაზე საგანგებო გამომძიებელმა კომისიამ წარმოადგინა მასალები ერევნის გუბერნიაში მომხდარ ამბების შესახებ. იუსტიციის მინისტრს დაევალა გამოძიება განაგრძოს და დამნაშავენი დასაჯოს.

◆ გადმოხვეწილთა დახმარების შესახებ მზრუნველობის მინისტრის მოხსენების თანახმად წინადადება მისცეს მას განკარგულება გასცეს, რომ გადმოხვეწილთა ორგანიზაციებისა და რწმუნებულთა ხარჯები სახელმწიფო კონტროლით იქნეს გაწეული.

◆ მიღებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საქართველოს სამხედრო გზის დამცველ რაზმის შედგენის შესახებ.

◆ მოწონებულ იქმნა ბათუმში ამიერ კავკასიის და ოსმალეთის დელეგატების შორის დადებული კონვენცია სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ საზავო მოლაპარაკების მიმართულების დამოუკიდებლად.

◆ ბალტიის მხარის წარმომადგენლებს შლეიხერს და სიდლერს აგრეთვე მთიელთა წარმომადგენლებს უფლება მისცეს ბათუმში წასვლის ნება.

# ქართული კლუბი

შაბათს, 18 მაისს (ახალი სტ.) გაიმართება

## ქართველ მხატვართა

# საღამო

I

კონცერტი დ. არაყიშვილის ნაწარმოებთაგან მისივე ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ქ-ნი ო. ა. შულგინა, ბ.ბ. ივ. სარაჯიშვილი და ალ. ი. ინაშვილი და სიმფონიური ორკესტრი.

როიალთან: ქ-ნი ანდრონიკაშვილი-გახილიევისა და ბელსკაია.

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში კონცერტის დასაწყისი $8^1/_2$ ს. კონცერტის დაწყების შემდეგ საკონცერტო დარბაზში არავის შეუშვებენ. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

II

## ვახშამი—კაბარე მაგიდებით

ჯერ არ-ნახული ხათუთუნოები. „დიპლომატიური კონცერტი" ა. ი. ყანჩელისა. მინისტრები (ცოფიელნი და აწმყო) კიბეებზედ. კლუბის მთელი დარბაზი მოხატულია მხატვრების ნაწარმოებებით.

გამოფენა ქართველ-მხატვართა სურათების. კარიკატურები, შარჟები. სცენაზე ცეკვა-თამაში.

მაგიდების დაჭერა შეიძლება კლუბის კასაში.

3—2 საღამოზედ შესასვლელი ბილეთები მხოლოდ საღამო დღეს.


# საქართველოს ეროვნულ საბჭოში

მაისის 14 სხდომა

## გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა

(დასასრული*)

საქართველომ რომ თავის თავად უთუოდ ლოიალური პოლიტიკა უნდა აწარმოოს ოსმალეთის იმპერიის და საერთოდ სამაჰმადიანო ქვეყნების მიმართ,—ეს ცხადია:—ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად მოვექცეთ იმ სახელმწიფოს, რომელსაც შეუკავშირდა მთელი მაჰმადიანური საქართველო, ჩვენ არ შეგვიძლია ამას გარდა იმის დავიწყებაც, რომ ოსმალეთი უზრუნველჰყოფს საქართველოს რომ რუსეთმა, ველიკორუსეთი იქნება იგი თუ უკრაინა, არ დაარღვიოს სწორი წონასწორობა საქართველოს ჩრდილო საზღვრებზე.

მაგრამ საქართველოს გეოგრაფიული და კულტურული მდგომარეობა მაინც სხვა გზებსაც გვიხსნის ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებისათვის.

საქართველო შავ ზღვას აკვრია; შავი ზღვით კი ჩვენსკენ პირდაპირ მიდის ევროპის ყველაზე უფრო კულტურული და ძლიერი სახელმწიფო—გერმანეთი; გერმანეთის ხელში გადადის რუმინეთის დამორჩილების შემდეგ ფაქტიურად დუნაის ყური—აქ გერმანეთი ახალ ჰოლანდიის საზღვაო ბაზას აწყობს; გერმანეთია დღეს უკრაინის პროტექტორი; გერმანეთის ხელშია დღეს ადესა, სევასტოპოლი; ყოველივე ეს საკმაო საწინდარია იმისი, რომ გერმანეთი, ბაღდადის რკინის გზას რომ თავი დავანებოთ, ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დიდ გავლენას იქონიებს კავკასიის ზღვის პირა დასავლეთ მხარეზე—საქართველოზე.

ქართული ეროვნული პოლიტიკის საქმეა გამოვიყენოთ ეს საგარეო ფაქტორი საქართველოს ეკონომიური და კულტურული ძალის გასამაგრებლად—მხოლოდ ეკონომიურად წინ წასული საქართველო განამტკიცებს სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულ კავშირს... (ჩვენ გვწამს რომ ოსმალეთისადმი ლოიალური პოლიტიკით საქართველო განაგრძობს ამ კავშირს).

ამიტომ ჩვენ ვერ მოვაწერთ ხელს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ისეთ კონსტიტუციას, რომელიც წინდაწინვე ხელ-ფეხს უბოჭავს საქართველოს,—საკუთარი საგარეო პოლიტიკა აწარმოოს და საკუთარის გზით იაროს ევროპის კულტურის მისაღებად...

ასეთია სოციალდემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების კონსტიტუციური გეგმები. ბ. ს. ჯაფარიძის პროექტი გაჟღენთილია რუსეთის ორიენტაციით ნამკვიდრევი ტრადიციებით—ეს გეგმა რომ განხორციელდეს ამიერ-კავკასიის „მთლიანი" რესპუბლიკური ფრონტი ძალიან ადვილად შეუერთდება მთლიან რუსეთის დემოკრატიულ ფრონტს;—ეს კარგად იცოდნენ „მუსავატის" მეთაურებმა, რომ თავიდანვე უნდობლად შეხვდნენ „შეგვიკების „დამოუკიდებელ" კავკასიის რესპუბლიკის შემოქმედებას...

სოციალისტ-ფედერალისტები სოც.-დემოკრატების გეგმის შესანდობით იწყებენ და კარგი კრიტიკით გეგმებს, მაგრამ თუ ს.-ფედერალისტები ამტკიცებენ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა შორის არეთი დიდი სხვაობაა, მაშინ ბ. გ. რცხილაძის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის გეგმაც მიუღებელია; ეს სქემა გადმოღებულია შვეიცარიიდან, და როგორც შვეიცარიის კონსტიტუცია, მხოლოდ ტიტულით არის კონფედერატიული, არსებით კი ფედერატიულია; ასეთივეა ს.-ფედერალისტების გეგმა. საერთოდ ბ. გ. რცხილაძეს ძალიან ახლო მიუღია შვეიცარიის სტატუტი, და ისეთი წვრილმანი პარაგრაფიც კი გადმოუღია, როგორც ღარიბ გარდაცვლილთა სახაზინო ხარჯზე დამარხვა (რასაკვირველია, როგორც სოციალისტს მას გვერდი აუხვევია იმ პარაგრაფისათვის, რომელიც სიკვდილით დასჯის უფლებას ანიჭებს ცალკე კანტონებს!). მაგრამ საკითხის სიმძიმის ცენტრი, რასაკვირველია, აქ კი არა, იქ არის, სადაც აღიარებულია, რომ „კონფედერაციის" უმაღლესი ცენტრალური ორგანოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა შტატებისათვის.—აი ეს არის სწორედ უარყოფა კონფედერაციის დედა-აზრისა და დაკანონება უბრალო ფედერაციისა.

ეროვნულ-დემოკრატების ფრაქცია ვერ მიიღებს არც ერთ გეგმას; თანახმა ჭეშმარიტ კონფედერაციის, Staaten-Bund-ის პრინციპისა, ჩვენ მოვითხოვთ ჯერ გამოცხადდეს და მოეწყოს სახელმწიფოდ ცალკე ერები, კერძოდ ჩვენი საკუთარი ქართული სახელმწიფო; როგორც ქართულ სახელმწიფოს ტერიტორიის გამოცხადების დროს, ისე შემდეგ ამ ქართულ სახელმწიფოს კავშირით შეკვრის დროს კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან, ჩვენ კი ხელმძღვანელებთ რეალური პოლიტიკის კანონით და ამის მაგიერ, რომ ვეძიოთ განუხორციელებელი ჰარმონია ყველა ერების შეთანხმებისა, შევუთანხმდებით იმ მეზობელ ერებს, რომელთანაც შეთანხმება უზრუნველჰყოფს კავკასიის გადამიჯნას ჩვენდა სასარგებლოდ. ეს არის მაჰმადიანობა: აზერბეიჯანი და მთიულეთ-დაღესტანი...

ცხოვრება მაინც ამ გზით წავა, მაგრამ ვინც აგვიანებს, ის ინიციატივასთან ერთად ბევრ რამეს ჰკარგავს... ცხოვრების პროცესს დროზედ უნდა ალღოს ალება... ამ მხრივ ჩვენი მეზობელი თათრები უფრო კარგი პოლიტიკოსები გამოდგნენ, და გამოდის ისე, რომ საქართველო აზერბეიჯანს უთმობს სახელმწიფოს შენების ინიციატივას.

აი ახლაც „მუსავატის" პარტია სახელმწიფოთა კავშირს ითხოვს, ისეთს კონფედერაციას, რომ ყოველ სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს ამ კავშირიდან წასვლის; ჩვენი მეუმრავლესე სოც.-დემოკრატიული პარტია კი მთლიან ამიერ-კავკასიას ჩასციებია...

სოციალ-დემოკრატებს რომ შეეძლოთ საქართველოს ეროვნულ პოლიტიკის წარმოება, ისინი აქამდის დაიმახსოვრებდნენ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში რომელიც გერმანეთის რედაქტორობით არის შედგენილი, ოსმალეთის მეზობლად, კავკასიაში, სახელმწიფოები არის მოხსენიებული და არა ერთი, რომელშიც [illegible]

მოლაპარაკების დროს ისინი არ იყვნენ გამოცხადებული სახელმწიფოებად; ეს სახელმწიფოები არის და ჩვენ ვიხილავთ მათ დღეს თუ არა ხვალ: საქართველო, ჩაჩნეთ—დაღესტანი და აზერბეიჯანი... ყველა ამ მოსაზრებით არის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს გამოცხადდეს დამოუკიდებელი სუვერენული საქართველოს სახელმწიფო.

**პავლე საყვარელიძე** („ალიონელი") აქ უმთავრესად კრიტიკა გაბატონებულ პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული, ამიტომ ორატორები ბევრს ისეთს რამეს ლაპარაკობენ, რაც სრულებით არ შეეხება საკითხს. რა შუაშია აქ რუსული ჩექმა თუ რუსის უგანასკნელი ეშელონები? სულ ერთია, რუსეთი თუ წავიდა, ოსმალეთი შემოიჭრება. ჩვენი სურვილები მაინც მუდამ სეპარატისტური ყოფილა.

საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი იყო უმთავრესად სამი შეხედულება: აბსოლუტურ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა (რომელსაც მხარს უჭერდა გაბჯიშვილი), ფედერაცია (რომელსაც თხოულობდა ს. ჯაფარიძე) და კონფედერაცია (რომელსაც მხარს უჭერდა გიორგი გვაზავა). უნდა აღვნიშნო, რომ სერგი ჯაფარიძეს არ წამოუყენებია ფედერატიული წყობილება. მისი ფედერაცია ჰგულისხმობს წმინდა წყლის უნიტარულ სახელმწიფოს. სერგი ჯაფარიძის პროექტის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია. აზერბეიჯანს არ ჰსურს ფედერაცია და ძალად ჩვენ მას ვერ მოვახვევთ ფედერატიულ წყობილებას. ორატორი ეხება შვეიცარიის სახელმწიფოებრივ წყობილებას და სერგი ჯაფარიძის მიერ წამოყენებულ პროექტს და ამტკიცებს ამიერკავკასიისათვის კონფედერატიულ წყობილების უპირატესობას.

**თავმჯდომარე.** შემოვიდა წინადადება კრების შეწყვეტის შესახებ. ვინც მომხრეა კრების შეწყვეტისა, ვთხოვ ხელი აიწიოს. (კრება 28 ხმით 21 წინააღმდეგ შეწყდა). კრება შეწყვეტილია.

შემდეგი კრება დაინიშნა მაისის 16-ს საღამოს 7 საათისათვის.

### მაისის 16 სხდომა

თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი.

კრება იხსნება 8 ს. და 10 წუთზე.

**თავმჯდომარე.** ეროვნულ საბჭოს კრება იხსნება. დღევანდელ კრების საგანი არის კამათის გაგრძელება ამიერ-კავკასიის და საქართველოს კონსტიტუციის შესახებ. ჩაწერილია 7 ორატორი. როგორ გსურთ დახურული იყოს სია თუ არა. (ასმის ხმები: ვინაც ჩაწერილი წაიკითხეთ), გ. ვეშაპელი კითხულობს სიას: ჩაწერილები არიან: გ. რცხილაძე, გ. ქიქოძე, ი. ბარათაშვილი, ბ. თევზაია, გვაზავა, ალ. ასათიანი, გრიგოლ ვეშაპელი. (წესრიგისათვის სიტყვას თხოულობს რევ. გაბაშვილი.

**რევაზ გაბაშვილი.** ვიდრე კამათზე გადავიდოდეთ მოგვაწოდეთ ახალი ინფორმაცია, რადგან საკითხი ისეა დაყენებული, რომ მგონი კამათს მნიშვნელობა აღარ აქვს.

**თავმჯდომარე.** რევაზ გაბაშვილის განცხადების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ ჩვენს მდგომარეობაში არის ახალი გარემოება. საქმე ისე მიდის, რომ შესაძლოა ამ ორ დღეში ჩვენ გადამწყვეტ ნაბიჯის გადადგმა მოგვიხდეს. აღმასრულებელ კომიტეტმა ითათბირა შექმნილ მდგომარეობის შესახებ და იმ აზრის დაადგა, რომ დღეს კამათი გაგრძელდეს, მაგრამ რეზოლუცია არ იქმნეს გამოტანილი. ჩვენ ხელს ნუ შევუშლით კონსტიტუციის შესადგენად არჩეულ კომისიას. კომისია შეადგენს რეზოლუციას, თავის დროზე წარმოუდგენს ეროვნულ საბჭოს და ჩვენც შემდეგ უკანასკნელ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჩემის აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ჩაწერილ ორატორებს მაინც მივცემთ ლაპარაკის ნებას. ეს არის აღმასრულებელ კომიტეტის აზრი, მაგრამ შეიძლება თქვენ ისურვოთ რეზოლუციის გამოტანაც. ეს კრების საქმეა.

**შალვა ქარუმიძე.** გთხოვთ, ჩამწერეთ.

**გრ. რცხილაძე.** თქვენს განცხადების შემდეგ იცვლება კამათის აზრი. მოგვეცით საშუალება ახალ გარემოებათა გამო მოვილაპარაკოთ.

მიერ შემოტანილია წინადადება კრების შეწყვეტის შესახებ. (წინადადებას უერთდება ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია). (კრება სწყდება 15 წუთით).

იხსნება 9 საათსა და 10 წუთზე

**თავმჯდომარე.** კრება განახლებულია. ვთხოვ ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადონ თავთავიანთი გადაწყვეტილება.

**დ. ონიაშვილი.** (ს.-დ.) რადგან კრებამ უკვე მოისმინა რამდენიმე კონსტიტუციის პროექტი ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შესახებ, ჩვენი ფრაქცია სასურველად სცნობს კამათის შეწყვეტას ვინაიდან შეიქმნა ახალი პოლიტიკური გარემოება. შესაძლოა ამ ახალ პოლიტიკურ გარემოებამ მნიშვნელობა იქონიოს კონსტიტუციის შედგენაზე. ამიტომ წინადადებას ვიძლევი კრება შეწყვეტილ იქნას.

**კ. ქავთარაძე.** (ალიონელი). ალიონის ჯგუფი უერთდება სოციალ-დემოკრატების განცხადებას.

**შალვა მესხიშვილი.** (ს. ფ.) ჩვენი ფრაქციაც.

**გ. გვაზავა.** (აწყვეტინებს). სტრატეგიული უკან დახევა.

**შ. მესხიშვილი.** (გვაზავას) სერიოზულ მომენტის დროს მაინც სერიოზული ბრძანდებოდეთ... ჩვენი ფრაქცია უერთდება სოც.-დემოკ. განცხადებას.

## ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადება

**გრიგოლ ვეშაპელი.** ერ.-დემ. ფრაქციამ დაადგინა, მოითხოვოს კამათის გაგრძელება ამ საკითხზე.

კონსტიტუციის შესახებ აქამდისაც ჩვენ ვმსჯელობდით არა აკადემიურად, იურიდიულად, არამედ პოლიტიკურად, მომენტის გარკვევით... თუ ეს საჭირო იყო აქამდის, მით უფრო აუცილებელია ასეთი ბჭობა დღეს, როცა პოლიტიკური მომენტი საბოლოოდ ირკვევა და გარდამწყვეტ პასუხს მოითხოვს ქართველი ერიდან.

ყველასათვის დანიშნულია მუშათა და სალდათთა საბჭოს ცენტის კრება: ეს ცენტრი არ მოუწვევიათ მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა—ჩანს ხვალაც დიდ პოლიტიკურ საქმეზე უნდა იმსჯელონ ამ ცენტრში.

ქართველ ერს მხოლოდ ერთი ცენტრი აქვს, ეს არის ეროვნული საბჭო და ეროვნული საბჭო ვალდებულია განაგრძოს დღეს კამათი პოლიტიკურ საგანზე და სთქვას თავისი სიტყვა, რომელსაც ასეთის ყურადღებით ელიან როგორც ჩვენს ქართველობაში, ისე ჩვენს მეზობლებში.

**თავმჯდომარე.** თქვენ მოისმინეთ ფრაქციათა განცხადება კამათის გაგრძელება-შეწყვეტის შესახებ. აღმასრულებელ კომიტეტის აზრით წეღანაც მოგახსენეთ, ასეთია: კამათი გაგრძელდეს, მაგრამ რეზოლუცია არ იქმნეს გამოტანილი. მაგრამ რაკი შეთანხმება არ არის საკითხს კენჭისყრით გადავწყვეტთ. (უმრავლესობა კამათის შეწყვეტის მომხრეა).

**თავმჯდომარე.** კამათი შეწყვეტილია. როგორ გნებავთ დარჩეს ძველი კომისია თუ ახალი ავირჩიოთ: (ხმები: ახალი ავირჩიოთ. საჭიროა სპეციალისტების მოწვევა). ჩიქნაველისა და აგალიშვილის მაგიერ ახალი წევრები უნდა ავირჩიოთ. მაგრამ რაკი ჩვენ კომისიის წევრებს მივეცით კოოპტაციის უფლება კომისიის წევრები თვითონ მიიწვევენ მცოდნე პირებს. ეხლა კრება დახურულია.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში, მოთავსებულ ეროვნულ საბჭოს ანგარიშში შეცდომით დაბეჭდილია: კ. აფხაზი (ერ.-დემ.) უნდა იყოს უპარტიო.

## მდგომარეობა ბათუმში

ქალაქში ცხოვრება მიმქრალია. მაღაზიები და დაწესებულებები დაკეტილია. ოსმალები კარგად ექცევიან მოსახლეობას, ალბად ჰსურთ ხალხის თვალში თავისი პრესტიჟი ასწიონ. ქალაქის ძველი მმართველობა ისევ არსებობს; ეს სხურება ქალაქის სამეურნეო ინტერესებს და სრულიად არ ერევა პოლიტიკაში. გაქცეულ მოქალაქეთა ქონება დაბეჭდილია და ოსმალები იცავენ. ქალაქში წესრიგს იცავს ოსმალთა ჟანდარმერია და ასაბი (გორიოლობები). თისივიად [illegible] ბით" ჰსჯიან. ეპიდემიას ჯერ ადგილი არა ჰქონია. სისუფთავეს კარგად იცავენ. ჯარისკაცები აბანოში კვირაში ერთხელ დადიან. ამას წინედ ყაზარმაში მოთავსებულ ჯარისკაცებმა ოსმალებს დელეგაცია გაუგზავნეს: „გაგვითანაბრეთ აფიცრებთან ერთად, ამას მოითხოვენ დემოკრატიული პრინციპებიო". როდესაც დელეგაცია წარსდგა კომენდანტთან, მან განკარგულება გასცა, რათა თვითონ 15 წკეპლა დაჰკრან და ისევ ყაზარმაში დააბრუნონ. ჩვენმა ჯარისკაცებმა ამასწინედ ვინტოვკები წაართვეს საყარაულოზე მდგარ ოსმალ ჯარისკაცებს—„კარგად რატომ არ გვექცევითო". ჯარისკაცები ამაზედ არ დაუსჯიათ. ქართველებსა და რუსებს შორის შუღლი იზრდება მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რუსებმა თავისი თავი ნეიტრალურად გამოაცხადეს; რუსულმა ეროვნულმა საბჭომ აუხსნა მოხელეებს, რომ ოსმალებთან ომში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ და თავისთვის უნდა დარჩნენ. ოსმალები თავის მხრივ ყველას კარგად ექცევიან. მოსახლეობა დამშვიდდა. ჩოლოქისა და ოზურგეთისკენ 8—10 ათასი ოსმალოს რეგულიარული ჯარისკაცია. მხედროთა თანამდებობას და სხვა ინსტრუქტორების საქმეს აფიცრები ასრულებენ. სურსათის ჯარი ტრაპიზონიდან ეზიდება.

ბოლო ხანებში ოსმალები ქალაქიდან აღარავის არ უშვებდნენ. ალბად ეს საზღვრის მოლაპარაკებიდგან არის გამოწვეული. ამბობენ ოსმალები დაქინებით მოითხოვენ, გაუშვან მათი ჯარი ბაქოზე ინგლისელთა წინააღმდეგ.

ქალაქში სურსათის ნიხრი ასეთია: ოსმალთა მისვლამდე 1 გირ. ს რცი ღირდა 4 მ. 50 კ. ეხლა 3 მან. 1 გირ. თევზი 3 მანეთი, ეხლა 1 მან. 1 გირ. ყველი 6 მან. ეხლა 4 მან. მწვანილიც 20—25 პროც. გაიაფდა.

ჩვენი ყოველნაირი ფული ხმარებაშია. ოსმალთა დელეგაციამ, მოსვლისას განაცხადა მცირეხანს უნდა დავისვენოთო. ეს „დასვენება" კი ფორტების დათვალიერებას მოადგა მეს. ყველა ფორტი გადარჩენილია. ოსმალები მათ ჯერ არ ამაგრებენ.

## ჩემი დღიური

X

### როდემდის?

ველური მოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ ზამთარს საქართველოში, უფრო კი გორის მაზრაში, თითქოს ბოლო მოუღო; ხალხმა ნადირულ ინსტიქტით დასწვა, დაანგრია თავად-აზნაურთა სახლები, ზოგი დახოცა და ძაღლებს მიუყარა, ზოგს—მითომ პატივი სცა—არ მიუყარა ძაღლებსა, ზოგი გადარჩა... რასაკვირველია, გაიქცა.

ამ ჟამად—მე მგონია არა ვარ შემცდარი—უმთავრესი საკითხი ის არის ჩვენი სოფლის ცხოვრებისა მთავრობისთვის, თუ მართალია, რომ ყველა მოქალაქე გათანასწორებულია კანონთან, აგრეთვე საზოგადოებასთან, ის საკითხი—რა ჰქნან, სად წავიდნენ და რა გააკეთონ იმ საცოდავებმა, რომლებიც გადარჩნენ და ბინები არ დაუწვავს? იმათაც ხომ კანონის ძალით მიეცათ მაშულის ნაგლეჯები... ეუბნოვის, შრომის ხამი არ არის არც თავადი, არც აზნაური.

მკითხველო! ვის გულშიაც არ გამქრალა კაცობრიული გრძნობა, ვინც ჯერ არ დაჰკარგა სვინიდისი—დაფიქრდით როგორ, რითი ცხოვრობენ ეს გამოქცეულები ამ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელშიაც არის ეხლა თბილისი? სულ ძვირი ხარჯი აქვთ—აურია! ფეხსაცმელი! ბავშვს, მუდამ ჩვენს ბავშვს, სოფელში დაბადებულს და იქ გაზრდილს, ცოტა უნდა პური? თავის საცოდავ სახლში ისე არ შეწუხდებიან, როგორც ამ თბილისში. ლობიების წინ მოურჩეულ ჰინჰარით მაინც გაიძლობენ მუცლებს!

თუ მართლა ჩვენ ცხოვრებაში მფლობელობს სასტიკი თავისუფლება, თუ ჩვენი რესპუბლიკა არ არის სათამაშო ზნით გაფუჭებულ ბავშვების ხელში, და არის ნამდვილი ახალი ცხოვრება, სადაც ყოველ მოქალაქეს შეუძლიან სული ამოთქვას, უსათუოდ უნდა მიეცეს შველა გამოქცეულებსა, რომ დაბრუნდნენ თავის ბინებზე.

— ამ ჟამად არა გვცალიან მაგ საქმეებისთვის!—ამბობენ ჩვენი მთავრობის წევრები—უმთავრესი ჩვენი საქმე—ზავი!

ზავი! [illegible]

